„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №7-8 (9573-74) ● 1-30 აპრილი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სენაკის სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა 2024

სენაკის მუნიციპალიტეტის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში, პირველად, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის

მხარდაჭერითა და სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ორგანიზებით, სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა, სიმბოლურად, თეატრის საერთაშორისო დღეს, 27 მარტს, საზეიმოდ გაიხსნა.

ოლიმპიადის საზეიმო გახსნას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, თეატრალური, საგანმანათლებლო სფეროების და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. ოლიმპიადის საზეიმო გახსნას თეატრალები - აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სა-

ხელმწიფო დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობები: თამარ აბშილავა-კობახიძე და ლადო კოკაია უძღვებოდნენ. მაყურებელთა წინაშე წარდგნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების შემოქმედებითი ჯგუფები - ნათია შურღულაიას, ლალი გოგიას, გოჩა ჯგერენაიას, სალომე ბერიშვილის ხელმძღვანელობით; ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სენაკის სალოტბარო სკოლა, ლოტბარი - დიმიტრი კაკულია; შემსრულებლები - სალომე ბერიშვილი და გიორგი ცისკაძე; ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,მეგა", დიმიტრი ჯაიანის სახელობის კულტურის ცენტრის თეატრალური ხელოვნების სკოლა-სტუდიის ახალგაზრდა თეატრალებმა, მუსიკალურ-კოსტიუმირებული ზღაპრიდან - ,,ჩიპოლინოს თავგადასავალი", სახალისო ნომრები შეასრულეს. ოლიმპიადის საზეიმო გახსნა აკაკი ხორავას სახელო-

ბის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის თეატრალური დრამატული ხელოვნების სკოლა-სტუდიის ერთობლივი პროექტით, სპექტაკლით - ,, HELLADOS - გაკვეთილი" დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა ასევე მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა. თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდა 13 სკოლა და 200-მდე მოსწავლე - სენაკის მუნიციპალიტეტის პირველი, მეშვიდე, გეჯეთის, ახალსოფლის, თეკლათის საჯარო სკოლების, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის, ზუგდიდის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ნორჩ თეატრალთა დასები.

2 აპრილს, სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა, საზეიმოდ დაიხურა. ოლიმპიადის დახურვისა და ნომინანტების გამოვლენის საზეიმო ცერემონიალს, თეატრალები - აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობები: ეკატერინე კოღუა და ლადო კოკაია უძღვებოდნენ. თეატრალური ოლიმპიადის მონაწილეებს წარმატებები უსურვეს და სასკოლო ოლიმპიადის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორმა, დარეჯან ზარანდიამ. ოლიმპიადას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობის, თეატრალური, საგანმანათლებლო სფეროების და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ. გამოვლინდნენ გრან-პრის მფლობელი - გენო ადამიას სახელობის პირველი საჯარო სკოლის თეატრალური ჯგუფები; ასევე - ნომინანტები, რომლებიც დიპლომებით და სპეციალური პრიზებით დასაჩუქრდნენ. ჩვენი ქალაქის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში, სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა, წელს, პირველად ჩატარდა. სასკოლო ოლიმპიადის დაარსებისა და ჩატარების მთავარი მიზანი კულტურის, განათლებისა და თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია, თეატრალურ ცხოვრებაში მეტი მოზარდის ჩართვა და ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენაა.

პატივი მიაგეს

სენაკში, კიდევ ერთხელ გაიხსენეს 35 წლის წინ, 1989 წლის 9 აპრილს განვითარებული მოვლენები და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის პირველმა მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს. . იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. ,,ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღი ორ მოვლენას აერთიანებს - 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან კვირას და 1991 წლის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ დღეს. ,,მადლობა თავისუფლებისთვის", ,,მადლობა სამაგალითო ერთობისთვის..." – 35-ე 9 აპრილის გზავნილმა გაიჟღერა ხელოვნების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების ორგანიზებით გამართულ თემატურ საღამოსა და გამოფენებზე. 9 აპრილის ტრაგედიიდან 35 წელი გავიდა. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა, პარლამენტის შენობასთან, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. დარბევის შედეგად, 21 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასობით მოქალაქე დაუდგენელი შემადგენლობის გაზით მოიწამლა. მოგვიანებით, 1991 წლის 9 აპრილს, უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

საერთაშორისო დღე

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და განვითარების ცენტრში, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ნანა ზარანდია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩია, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ; ცენტრის მესვეურებთან, არსებულ საჭიროებებსა და ამ მიმართულებით დაგეგმილ სამომავლო ხედვებზე ისაუბრეს და სენაკელი მოზარდის, გეგა ფიფიას ნახატების გამოფენას დაესწრნენ.

,,ჩვენი მოვალეობაა, სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის, სრულფასოვანი ცხოვრებისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის საუკეთესო პირობების შექმნა. მადლობა, ჯანმრთელობისა და განვითარების ცენტრს, ცენტრის თითოეულ თანამშრომელს, ჩვენი პატარების მიმართ გამოხატული სიყვარულის და მზრუნველობისთვის" - აღინიშნა შეხვედრაზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების განვითარების სტიმულირების, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის, ბავშვებისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით, 2023 წლიდან ხორციელდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის მიზანია შემეცნებითი, სოციალურ – ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

აღნიშნული პროგრამა თავის მხრივ მოიცავს - საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის რამდენიმე სპეციალისტის მიერ, ბენეფიციარისთვის ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას. პროგრამის ბიუჯეტი 120000 ლარამდე გაიზარდა. ამ ეტაპისათვის, პროგრამის ფარგლებში, მომსახურებას 31 მოზარდი იღებს. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, მთელი საბიუჯეტო წლის განმავლობაში, აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდებისთვის, გათვალისწინებულია ინდივიდუალური ფინანსური დახმარება. მიმდინარე წლიდან, პროექტის - "საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ADOS -ის კვლევის დანერგვა მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, რისკის მქონე მოზარდებისთვის, მუნიციპალიტეტში, ხელმისაწვდომი გახდა ,,ოქროს სტანდარტად" აღიარებული ADOS -ის კვლევის ადგილზე ჩატარება, დიაგნოზის დროული დასმა და მკურნალობის/რეაბილიტაციის დაწყება.

9 აპრილი - დიდი ტრაგედიისა და დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

14 აპრილი -ქართული ენის დღე

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

საპროექტო წინადადების მიღების ეტაპი

სენაკის მუნიციპალიტეტში, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპი დასრულდა.

პროგრამის ფარგლებში შექმნილმა კომისიამ, შემდეგი შემადგენლობით: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რამაზ კუპრეიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ეკატერინე კიზირია, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სოსო მორგოშია, ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი, დალი შონია - სამუშაო შეხვედრაზე, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და შემოსული საპროექტო წინადადებები განიხილეს.

პროექტის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში, შემოვიდა 14 საპროექტო წინადადება. კენჭისყრის ეტაპზე 4 საპროექტო წინადადება გადავიდა:

ქ. სენაკში, ჭავჭავაძის 35, 37, 39- ის მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ - ფანჩატურისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა;

ქ. სენაკში, ი. სანაიას ქ. N42-ის მიმდებარედ, მუნიციპალურ სკვერში (ს. კ. 44.01.24.568), დასასვენებელი და საბავშვო ატრაქციების მოწყობა კაუჩუკის საფარით;

ქ. სენაკში, მშვიდობის ქ. NN 190-200-ის საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული მუნიციპალური სკვერის რეაბილიტაცია და სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა;

ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (საქართველოს ბანკის გვერდით) არსებული სკვერის რეაბილიტაცია;

კენჭისყრის ეტაპი - 15 აპრილიდან 15 მაისამდე განისაზღვრა. გამარჯვებული პროექტის გამოვლენა და პროექტის დამუშავება ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით - 20 მაისიდან 3 ივნისამდე.

2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100 000 ლარი სრულად მიიმართება სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამისთვის.

მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, ერთი საპროექტო წინადადების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია დაფინანსდეს მინიმუმ ორი საპროექტო წინადადება.

სამუშაოებს გაეცნო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან, საბა ოდიშარიასთან და პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან ერთად, თეფანიას ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო, სადაც, წლების შემდეგ, პირველად, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ბეტონის საფარი იგება და საგზაო ინფრასტრუქტურა წესრიგდება. გზის კეთილმოწყობის სამუშაოების ღირებულება 45 963 ლარს შეადგენს.

სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტში, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, ქალაქის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე, მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება.

პროექტი, ღირებულებით - 497 777 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება. დასრულების ეტაპზეა ხელოვნურსაფარიანი მოედნის, გარე განათების სისტემისა და შემოღობვის კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები. სამუშაოების მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია გაეცნენ. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით და მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით, მინი სპორტული მოედნები ასევე ეწყობა თეკლათში - გოლასკურის უბანსა და ნოქალაქევში - გახომელას უბანში.

შეხვედრა ქალთა მიმართ ძალადობის კომისიის ინიციატივის ფარგლებში

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიის ინიციატივის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, ნანა ზარანდია, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსთან, მზია ბიგვავასთან, განყოფილების სპეციალისტთან, სოციალურ მუშაკთან - ია კიკაბიძესთან, განყოფილების ფსიქოლოგთან, ნიკა ქეცბაიასთან ერთად, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობას შეხვდა.

შეხვედრაზე, მოსახლეობა დეტალურად გაეცნო სენაკის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებს. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, პროგრამების ხელმისაწვდომობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა და საინფორმაციო შეხვედრა შეაჯამა. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიის მიერ სამოქალაქო ინიციატივის - ,,დაარღვიე სიჩუმე - შეაჩერე ძალადობა" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, ორი პროექტი განხორციელდა: ,,არტ-თერაპია" - შესაბამისი მოწყვლადი ჯგუფებისთვის და უწყებათაშორისი კომისიის მეორე ინიციატივა, რომლის მხარდამჭერიც ქალთა ფონდი ,,სოხუმია", სენაკის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის გაცნობას მოიცავს. ინიციატივის ფარგლებში, შეიქმნა ბროშურა და მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, საინფორმაციო შეხვედრები შედგა.

სოლიდარობის ცენტრის გენდერული ფორუმი

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, სოლიდარობის ცენტრის გენდერული ფორუმის ტრენინგი -"გენდერული თანასწორობა შრომით ურთიერთობებში" გაიმართა. პლენარული სესიის ფორმატში, ტრენინგის მონაწილეებს, სოლიდარობის ცენტრის პროგრამის ოფიცერმა, ნათია გველესიანმა, დეტალურად გააცნო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, სექსიზმი და მისი გამოვლენის ფორმები წინასახელშეკრულებო და შრომით ურთიერთობებში, ასევე, ძალადობისა და ფემიციდის ფაქტები, გენდერული თანასწორობის ჭრილში - სახალხო დამცველის, შრომის ინსპექციისა და სასამართლოს პრაქტიკა. მონაწილეებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია გენდერის სოციალურ და კულტურულ კონსტრუქციებზე, სტერეოტიპებზე, დისკრიმინაციის პრევენციასა და რეაგირების მექანიზმებზე, გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

სოლიდარობის ცენტრის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერმა, ია ყიყიჩაშვილმა ისაუბრა გენდერულ სახელფასო სხვაობასა და მინიმალურ ხელფასზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ინგა ქარდავამ, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ, მანანა გვიჩიამ, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, რამაზ კუპრეიშვილმა, საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის სენაკის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ვერა კალანდარიშვილმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების წარმომადგენლებმა. სოლიდარობის ცენტრის გენდერული ფორუმის - „გენდერული თანასწორობა შრომით ურთიერთობებში" დასასრულს, მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

ბოშათა დღე

8 აპრილი ბოშათა საერთაშორისო დღეა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, დღეს, გენო ადამიას სახელობის პირველ საჯარო სკოლაში, ღონისძიება გაიმართა. პირველ საჯარო სკოლაში სამი ბოშა სწავლობს. ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დარეჯან ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობის, საგანმანათლებლო სექტორის და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. აქტივობა, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის - ,,განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით" , ფარგლებში ჩატარდა. პროგრამის კოორდინატორია - პირველი საჯარო სკოლის მენტორი მასწავლებელი, ელისო შურღაია. პროგრამის

ფარგლებში, სკოლაში, სახელგარჯილობის და კითხვის კლუბები ფუნქციონირებენ, რომელთაც პედაგოგი - მამუკა კუჭავა და მსახიობი - ნოდარ მელაძე ხელმძღვანელობენ. თემატურ საღამოზე შესრულდა ბოშური ცეკვები, სიმღერები; ასევე ჩატარდა ვიქტორინა - ,,ვინ იცის ბოშური ენა?'', გაიმართა პრეზენტაციები - ცნობილ ბოშებზე, ეთნიკური ჯგუფის ისტორიასა და ადათ-წესებზე. ღონისძიების დასასრულს, პედაგოგები და მოსწავლეები, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სიგელებით დაჯილდოვდნენ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 3 აპრილს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია.

კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყეტილებით, სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში დადებითად შეფასდა.

***

2024 წლის 8 აპრილს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე".

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია.

კომისიის წევრებმა, კომისიის სხდომის დაწყებამდე ობიექტი ადგილზე დაათვალიერეს.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

***

2024 წლის 11 აპრილს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა

1. "სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

სასიამოვნო სიახლე

100 წლის ისტორიის მქონე გაზეთი ,,კოლხეთი", რომელსაც მხედველობიდან არასოდეს გამორჩენია მნიშვნელოვანი კულტურული, საგანმანათლებლო თუ საზოგადოებრივი მოვლენა, უმნიშვნელოვანეს სიახლედ თვლის სასკოლო თეატრალური ოლიმპიადის ჩატარებას პირველად სენაკში .

აღნიშნული პროექტი მოსწავლე-ახალგაზრდობას არამარტო ესთეტიკურ და მაღალმხატვრულ გემოვნებას უყალიბებს, არამედ სრულად აცნობებს ქვეყნის კულტურას, ტრადიციას და ხასიათს.

რედაქციის სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ პროექტის ინიციატორს, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ვახტანგ ნიკოლავას, თეატრის დირექტორს ირაკლი ადამიას, თეატრის მთელ შემოქმედებით კოლექტივს, პროექტში ჩართულ ყველა სკოლის თეატრალურ დასს, ყველა მხარდამჭერს - აღმასრულებელი ორგანოებიდან დაწყებული ინდივიდუალური პირებით დამთავრებული.

„თეატრი ესაა სამყარო, მშვენიერი და მომხიბლავი, ემოციური, ესთეტიკური, სადაც თავს იყრის ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილება".

სრულიად სენაკს ვულოცავთ ამ სიახლეს.

,,კოლხეთელები"

პირველად არსებობის მანძილზე

მიმდინარე წლის მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში ჩვენი პატარა ქალაქის მოსახლეობა ისტორიული მოვლენის მხილველი გახდა. სენაკის თეატრში არსებობის მანძილზე პირველად ჩატარდა თეატრალური ოლიმპიადა.

რას ნიშნავს ეს?

ნიშნავს იმას, რომ ქალაქში აღდგა ქართული კულტურისადმი ლტოლვა და ინტერესი. ახალგზრდებში გაღვივდა სურვილი ხელოვნების ამ დარგის საფუძვლიანად გაცნობისა.

მოსწავლეებმა შეძლეს აესახათ, შემდეგ კი გარდაესახათ ის რეალობა რომელშიც ცხოვრობენ და რომლის ნაწილნიც თავადვე არიან.

რა გახლავთ თეატრის და ზოგადად ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მიზანი? ცხადია ადამიანში კათარზისის გამოწვევა და მისი სულიერად გაწმენდა, ზეცამდე ამაღლება. გვიხარია, რომ ეს ყოველივე შეძლეს ჩვენმა ახალგაზრდებმა, მათ მაყურებლის გულებში ერთდროულად აღძრეს სიხარულის, აღტაცების, სინანაულის განცდები, ამოგზაურეს სხვადასხვა სამყაროში ისინი და უხვი ემოციებით დაასაჩუქრეს.

ჩვენ ხვალიდან სხვაგვარ სენაკში გავიღვიძებთ, ამისთვის პერსონალური, განსაკუთრებული მადლობა რეჟისორს, ბატონ ვახტანგ ნიკოლავას.

თეატრის დირექტორს ირაკლი ადამიას, მსახიობებს ლადო კოკაიას, თამარ აბშილავას და ეკა კოღუას, ასევე ლალი გაბელაიას.

მათი ინიციატივით დღეს ახალგაზრდები ენთუზიაზმით აღსავსენი და ბედნიერები არიან, მათ აქვთ მიზნები, რომელთა განსახორციელებლადაც მზად არიან ბევრი იშრომონ. თქვენი წყალობით ამიერიდან სენაკში სხვაგვარი სიო იქროლებს.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს მოსწავლეებს, სკოლის დირექტორს ბატონ მამუკა ჯოჯუას, მშობლებს, კოლეგებს გამხნევებისა და გვერდში დგომისათვის. თქვენ ჩემი უდიდესი სტიმული და მთავარი ძალა ხართ.

IV კლასის მოსწავლეებმა წარმაოდგინეს ზღაპარი ,,სათაგურის" ინსცენირება რომელშიც მონაწილეობდნენ: ლიზი ჩოჩია, ლუკა ჩოჩია, მათე ხურცია, დიანა ბახტაძე, ლიზი გრიგოლია, ნიკოლოზ ნინუა, ირინა თათარიშვილი, ნინი გოგავა.

მაყურებელმა, ჟიურიმ ჩვენი წარმოდგენა კარგად მიიღო და სასიხარულო შეფასებაც მივიღეთ, გადმოგვეცა საუკეთესო ნორჩ თეატრალთა დასის დიპლომი, ასევე გამოვლენილ იქნა ჟიურის სიმპათია ნინი ხარებავა:

დალი გოგიჩაიშვილი
სსიპ სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის IV კლასის დამრიგებელი

„ქართული მარტო ენაა?!“

ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენას" ხელში პირველად აიღებს. აიღებს, გაშლის და თითქოს ისევ დაიბადაო, - ამ სამზეოს უცებ სხვაგვარად ხომ დაინახავს და დაინახავს, სხვანაირადაც გაიაზრებს.

ჰოდა, იმ დღეს რა დაგვავიწყებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა როცა ერთბაშად გავიგონეთ და შიშით, აქ არ გაგვიფრინდესო, ხელი მაშინვე დავაფარეთ.

მისი ტკბილი სტვენა-ჭიკჭიკი, ღამით მთვარეში გაკიდებული ნაზი ქვითინი განა მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?

ქართულს შორს აქვს ფესვები გადგმული. მსოფლიოში არსებულ დამწერლობათა სისტემებს შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი მას ღირსეულად ეთმობა. „იუნესკომ" ქართული ანბანი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

ქართულ ენას აქვს თვითმყოფადი ანბანი (მხედრული), რომელიც არის ნუსხურის განვითარების შედეგი, ხოლო ნუსხური კი, თავის მხრივ მიღებულია ასომთავრულისაგან (იგივე მრგლოვანი).

გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა ქართული მწიგნობრობის შემომღებლად ქართველთა მეფე ფარნავაზი მიიჩნია.

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა - ი ქართული" - ვკითხულობთ ,,ქართლის ცხოვრებაში".

ქართული დამწერლობა შექმნილია არა უგვიანეს 284 წლისა ძვ.წ. აღ.-ით.

ქართული ენა ეროვნული ენაა. იგი ჩვენი, ქართველების დედაენაა, რომელიც ქართველი ერის ხანგრძლივი და თავდადებული შემოქმედების პროდუქტია. ეს ენა ისევე ძველია, როგორც თვით ქართველი ხალხი და მისი გმირული ისტორია.

,,ქართულ ენაში ასახულია, როგორც ეს ყველა ენაში ხდება ხოლმე, მისი შემქმნელი და მატარებელი ხალხის, ამ შემთხვევაში ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება". (ვ.თოფურია)

ენა, როგორც ცნობილია, ერის მეობის ძირითადი ნიშანია.

„ენა არის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე უხვი და მტკიცე კავშირი, რაც ერთ დიად ისტორიულ ცოცხალ მთლიანობად აერთიანებს ხალხის გარდასულ, ცოცხალ და მომავალ თაობებს. ენა არა მარტო გამოხატავს ხალხის სიცოცხლის ძალას, არამედ იგი თვით არის ეს სიცოცხლე.

,,როდესაც ქრება ხალხის ენა, თვით ხალხიც აღარ არსებობს" (კ. უშინსკი).

მართლაც, დედაენის დამკარგავ ხალხს მოელის „დაქვეითება, გაღატაკება, დაცემა, აღმოფხვრა, გაქრობა". (ი.გოგებაშვილი)

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ დედაენა ,,არის ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა". (ი.გოგებაშვილი)

მათ ისიც კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ,,ერის ცხოვრება, მისი დიდება დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას"; (გრ. ორბელიანი) რომ ,,მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნისა" (ილია).

ქართული ენა არის ,,განვითარებული, გაშლილი, კულტურული, მდიდარი როგორც ლექსიკონით, ისე გრამატიკული ფორმებით, ენა სრულის ორგანიზაციისა, უმაღლესის ხარისხისა". (ი.გოგებაშვილი)

ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით". (ნ.მარი)

ქართული ენა რომ ერთი უმდიდრესი ენათაგანია მსოფლიოში, ეს არაერთგზის არის აღნიშნული უცხოელ მკვლევართა მიერაც.

ქართული ენა ქართველი ერის სიხარულითა და ტკივილებით აღსავსე ხანგრძლივი სულიერი ცხოვრების უტყუარი და მართალი მატიანეა. ეს ენა, როგორც ძველი სამწერლობო ენა, მუდამ ასახიერებდა მთელი ქართველობის კულტურული ერთობისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას.

,,ქართული ენა, - წერდა აკაკი, ინახება ხალხში, იქ არის ენის სალარო". ამ სალაროს მიმართავდა აკაკი და ამაზე დაყრდნობით ქმნიდა თავის მდიდარ მხატვრულ შემოქმედებას.

ამ ენაზე შექმნილი შედევრები მსოფლიოს გააცნეს შოთამ, ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, გალაკტიონმა და უჩვენეს ძალა მისი უკვდავებისა.

რაც კი შეუქმნია კაცობრიობას თავისი განვითარების გრძელ და რთულ გზაზე, ერთ-ერთი ყველაზე დიადი და მნიშვნელოვანი კულტურულ ღონისძიებათა შორის ენა გახლავთ ენობრივი ფენომენი, რომლის საიდუმლოების ამოცნობა მრავალი ინტერესის აღმძვრელია მეცნიერებაში.

ბევრი რამაა საამაყო საქართველოში - ძალიან ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე უფრო საამაყოა ქართული ანბანი, საამაყო და თვალისჩინივით მოსავლელი.

ქართული ანბანის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ენა, ქართული ენის გარეშე - ქართული ანბანი, ორთავეს გარეშე - საქართველო, საქართველოს გარეშე - ორთავე. (მ.მაჭავარიანი)

დიდი ილია ბრძანებდა: ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

დიდი კონსტანტინესი არ იყოს: ,,მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისთვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი", რადგანაც ,,ერის ცხოვრება, მისი დიდება, მისი ისტორია დაცულ არს ენით, / რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას" (გრ.ორბელიანი)

დიახ, ქართული მარტოოდენ ქართველთა ენა კი არ არის, არამედ მათი სინდისნამუსია, მათი შემოქმედების მუზაა, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის იმედია, მათი რწმენაა, დიახ, რწმენა, რადგანაც ,,დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისსა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან... და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა '' (იოანე ზოსიმე).

1978 წელს 14 აპრილი ოფიციალურად გამოცხადდა დედაენის დღედ. მას ძეგლიც დაუდგა ქართველმა ხალხმა და ჩვენი ვალია დავიცვათ იგი, შემოვუნახოთ მომავალ თაობებს, მსოფლიოს დავუმტკიცოდ სიყვარულის, ლექსის და ღმერთების ენის სიდიადე.

„მაღალ კვარცხლბეკზე წიგნი უნდა იდგეს, ოქროს ზარნიშიანი და გადაშლილი წიგნი, რომ მთელი ერი ხედავდეს. ასეთი წიგნი ორი მეგულება საქართველოში - ,,ვეფხისტყაოსანი" და ,,დედაენა" (ნ.დუმბაძე)

მართლაც, რომ დიდებული საუნჯეა ჩვენი მეობისა, თვითმყოფადობის უძლეველობისა ჩვენი ენა ქართული, საქართველოს მთებში გაჩენილი, სადღეგრძელოს, ლექსის, სიყვარულის ენა, რწმენის, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის ენა.

,,ქართული მარტო ენაა?! –
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა! –
იმოდენაა!" (მ.მაჭავარიანი)

ინგა ზარანდია,
სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველისენაკის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

აკადემიკოს თეოფანე დავითაიას საღამო

28 მარტს ჟ. შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ქართველი აკადემიკოსის, დამსახურებული მოღვაწის, სსრკ-სა და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურიატის, ჩვენი რაიონის ღირსეული წარმომადგენლის თეოფანე დავითაიას საღამო.

საღამო ჩატარდა, თეოფანე დავითაიას მუზეუმისა და სენაკის ჟ. შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივი მონაწილეობით.

ეკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოების წინაშე საინტერესო პრეზენტაცია წარადგინეს. გამომსვლელებმა: მუზეუმის სპეციალისტმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ დამირ კუჭავამ, ეკის საჯარო სკოლის დირექტორმა ლელა სიჭინავამ, ეკის მკვიდრმა, მე-7 საჯარო სკოლის დირექტორმა ბიძინა ტაბაღუამ, თეოფანე დავითაიას მუზეუმის სპეციალისტმა თეა ხუნჯუამ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა, მწერალმა ბორის დავითაიამ ისაუბრეს თეოფანე დავითაიას მიღწევებზე კლიმატოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის დარგში დამსახურებაზე, რომ ის წლების განმავლობაში იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, დიდი დამსახურება მიუძღვის სქართველოს ეკო სისტემის გაუმჯობესების საქმეში, მიწვეული იყო კუბის რესპუბლიკაში, იაპონიაში, ლექციებს კითხულობდა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, 1978 წელს ხელმძღვანელობდა იუნესკოს N6/1 პროექტის შედგენას ,,ადამიანი და ბიოსფერო, გაიხსენეს ეპიზოდები ბიოგრაფიიდან. ისურვეს მისი მსგავსი ადამიანები, ერის სასახელოდ კვლავაც აღიზარდონ სამეგრელოში.

ღონისძიება გაალამაზა ეკის თემისა და სენაკის კულტურის ცენტრის მომღერალთა ანსამბლმა ,,ეგრისმა ".

საღამოზე მოწვეულები იყვნენ. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ირმა კუპრეიშვილი. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნათია ეჯიბია, დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, გურანდა შამათავა, თვითმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

მაია ლაშქარავა
ჟ. შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი

ᲗᲝᲠᲘᲗᲝ ᲬᲐᲠᲒᲐᲜᲔᲚᲘ

ქართველი ებრაელი მწერლის, პოეტის, მთარგმნელის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, სენაკის საამაყო შვილის - ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს მიეძღვნა ტრადიციული მხატვრული კითხვის კონკურსი, რომელიც ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებითა და სენაკის საგანმანათლებლო რესურს ცენტრისა და ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მხარდაჭერით. კონკურსში მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

კონკურსის ორგანიზატორმა I ადგილზე გასულ მეშვიდე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეს საბა სიგუას გადასცეს სიგელი და ფულადი პრიზი. კონკურსისთვის საბამ თვითონ შეარჩია მუსიკალური ფონი, რომლის თანხლებითაც წაიკითხა ლიტერატურული ნაწარმოები, მისთვის ეს კონკურსი პირველი არ ყოფილა. მანამდე იყო არაერთი გამარჯვება.

,,მხატვრული კითხვა ადრეული ასაკიდან, I კლასიდან დავიწყე- ამბობს საბა, ჩემში ეს ნიჭი ხელოვნების მასწავლებელმა, ქალბატონმა მზია ბარქაიამ აღმოაჩინა და თუ რამე წარმატებას მივაღწიე სწორედ მისი დამსახურებაა.

საბა ხშირად მონაწილეობდა მხატვრული კითხვის კონკურსებში და მოპოვებული აქვს არაერთი გრან-პრი. გარდა ამისა გადაღებულია მოკლე მეტრაჟიან ფილმში ,,არა ბულინგს", სადაც ასრულებს მთავარ როლს (მისი პერსონაჟი არის ბულინგის მსხვერპლი).

ის გატაცებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებითა და პროგრამებით, გრაფიკული დიზაინით. სკოლის დამთავრების შემდეგ აპირებს კომპიუტერულ საპროგრამო აკადემიაში გააგრძელოს სწავლა, სრულყოფილად დაეუფლოს კომპიუტერულ პროგრამებს და გახდეს თავისი საქმის პროფესიონალი.

მზია მასწავლებელს ძალიან უყვარს თავისი ნიჭიერი მოსწავლე და მასზე დიდ იმედებს ამყარებს - ,,საბა განსაკუთრებულია, იშვიათად შეხვდები ასეთ ნიჭიერ, მოწესრიგებულ, მიზანდასახულ, ზრდილობიან ახალგაზრდას. უფალმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას საბასნაირი ახალგაზრდები".

ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ რა პროფესიაც არ უნდა აირჩიოს საბამ, ის ყველგან მიაღწევს წარმატებას და ასახელებს მშობლიურ სკოლას და მუნიციპალიტეტს. ვუსურვებთ მას წინსვლასა და ახალ-ახალ გამარჯვებებს.

მ. გერგაია

ებრაულ-ქართული სულის სინთეზი...

(ეძღვნება, ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს)

იშვიათობაა ასეთი მოუსვენარი შემოქმედებითი, საზოგადოებრივი, პირადი ცხოვრებით იცხოვროს კაცმა, ორი ,,საკრალური" არსით გაჯერებულმა - ქართველმა ებრაელმა და თავისი პოეტური, მთარგმნელობითი, პუბლიცისტური საქმიანობით შთამბეჭდავი კვალი დაამჩნიოს როგორც ქართულ, ისე მსოფლიო კულტურულ გარემოს.

ასეთი განძი ყველგან არ არის, რთულია მისი აღმოჩენა და მოპოვება, ჩვენ ქართველებს და განსაკუთრებით სენაკელებს, განგებამ გვარგუნა ბედნიერება, რომ გვყოლოდა ბატონი ჯემალ აჯიაშვილი - დაგვენახა, შევხებოდით, მოვფერებოდით და უბრალოდ გვეამაყნა მისით. ამ ბუმბერაზი პიროვნების რეგალიებს რა ჩამოთვლის, უბრალოდ ძირითადს გამოვყოფ - ის იყო - საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირების წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი; მან თარგმნა მსოფლიო კლასიკური პოეზიის ნიმუშები: ბიბლიური ფსალმუნები, ანდალუსიელი ებრაელი პოეტების ლექსები, ,,სპარსული რენესანსული ეპოქის" ისეთი კორიფეების შემოქმედება, რომლებიც იყვნენ: ფირდოუსი, საადი, ომარ-ხაიამი, ძველბერძნული ლექსები, შექსპირის, ჩიკამაცუს, ტირსო დე მოლინას, კარლო გოცის დრამატული პოემები, დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს, რილკეს სონეტები, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ბორის პასტერნაკის და სხვათა პოეტური შემოქმედება.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში წარმატებით დაიდგა ჯ. აჯიაშვილის მიერ თარგმნილი კარლო გოცის პოემა-ზღაპარი "ცისფერი უკუნეთი",

ჩიკამაცუს დრამატული პოემა "შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე".

ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობას მწერალმა უძღვნა ისტორიული პიესა-მონოლოგი - "გაიღვიძე, ქნარო!", რომელიც პირველად 1988 წელს დაიდგა ისრაელში, ხოლო შემდგომ, საქართველოში, კოტე მახარაძის მიერ - ერთი მსახიობის თეატრში...

რთულია, ასეთი შემოქმედებითი ისტორიის მქონე ადამიანის ღვაწლი, შესაბამისი პატივით დააფასო - მისი დაბადებიდან 80 წლის იუბილეს უძღვნა ღონისძიებათა მთელი კვირეული, მაგრამ სენაკის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების, ქალაქის მერის, ბატონ ვახტანგ გადელიას ხელმძღვანელობით და უშუალოდ მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის ჩართულობით, ეს გამოწვევა იქნა მიღებული და წარმატებით განხორციელებული.

ღონისძიებების კვირეული 18 მარტს დაიწყო და 24 მარტს დასრულდა.

ჟიული შარტავას მუზეუმში ჩატარდა ბატონი ჯემალის ხსოვნისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. სადაც გაიმართა რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ფილმის - ,,ვარსკვლავთა ჩრდილში მაღლათა თანას" ჩვენება;

ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო მისი 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი თემატური გამოფენა; ასევე, კვირეულის ფარგლებში, სახვითი ხელოვნების გალერეაში, ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთან, მაია დგებუაძესთან ერთად, თემატური ლიტერატურული გაკვეთილი წარმოადგინეს;

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში, პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი, ტრადიციული მხატვრული კითხვის კონკურსი გაიმართა, რომელშიც პირველი ადგილი მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლემ, საბა სიგუამ დაიკავა, მეორე ადგილი წილად ხვდა მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეს, ალექსი ჟვანიას, მესამე ადგილზე გავიდნენ პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეები - გოჩა ცომაია და დავით კვირკველია. საღამო მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტს, ლია ღვამბერიას მიყავდა. კონკურსანტებს, მეტყველებაში და არსტისტიზმში, აფასებნენ: აკაკი ხორავას სახელობის სენაკის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები - თამარ აბშილავა და ტარიელ ზურაბაშვილი, მხატვრული კითხვის კონკურსის 2022 წლის გამარჯვებული, უშანგი ჩიქობავა.

კვირეულის დასკვნით ეტაპზე, 24 მარტს, მისივე სახელობის სკვერში, მწერლის ბარელიეფი ყვავილებით შეიმკო, დიდი ქართველი ებრაელი საზოგადო მოღვაწის ხსოვნას პატივი მიაგეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, თამარ მახარაშვილმა; მწერალმა, მთარგმნელმა, მანანა დუმბაძემ; რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა, ქართველმა და ებრაელმა სტუმრებმა, ჯემალ აჯიაშვილის მეგობრებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. ბარელიეფის შემკობის შემდეგ, ქალაქის სტუმრებმა, ჯემალ აჯიაშვილის სახელობის სინაგოგა მოინახულეს.

მარტის თვის უჩვეულოდ ცივი და წვიმიანი ამინდების ფონზე, ბუნებამაც გაიღო თავისი ,,ხარკი" ბუმბერაზი პიროვნების, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, თანაქალაქელის, უბრალოდ - ადამიანის, ბატონი ჯემალ აჯიაშვილის წინაშე და 24 მარტის დასკვნითი ,,თეატრალური საღამო" გაზაფხულის თბილ და შთამბეჭდავ კადრად გვიქცია. სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ ღონისძიებაში, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, შესაბამის სამსახურებთან ერთად, არაჩვეულებრივი საღამო გვაჩუქა. ზომიერად, ყოველგვარი პათეტიკურობის გარეშე, გადმოგვცა ჩვენი ქალაქის (და არა მხოლოდ) ოქროს ფონდის - ბატონი ჯემალის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, მისი ღვაწლი ქართულ-ებრაული ურთიერთობების განვითარებისა და კიდევ უფრო გამყარების სფეროში... სენაკის თეატრალურმა დასმა, გულწრფელი არტისტიზმით წარმოადგინა ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, თავისი დრამატული ეპიზოდებით, ასევე - ებრაელი და ქართველი ერების მჭიდრო არქაიკული კავშირები, მათი როლი რეგიონალური, თუ მსოფლიო კულტურის ფორმირების სფეროში... საღამოს ამშვენებდნენ ქართველ-ებრაელთა გენის შესანიშნავი წარმომადგენლები, კულტირის მოღვაწეები, ბატონები - ჯემალ სეფიაშვილი, თემურ ყვითელაშვილი, ქართველ ებრაელთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბატონი მერაბ ჩანჩალაშვილი...

განათლების მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ მახარაშვილმა ისაუბრა ბატონი ჯემალის ღვაწლზე ქართული და ზოგადად მსოფლიო მეცნიერების სფეროში, მის ფანატიკურ სიყვარულზე საქართველოსადმი, მისი ისტორიისადმი, კულტურისადმი.

თამარ მახარაშვილი - ალავერდობა დღეს, ბატონ ჯემალ აჯიაშვილთან კახეთში ყოფნისას, ერთ-ერთმა ადგილობრივმა მოსახლემ დააპირა ჩვენთვის გიდობის გაწევა, ნურას უკაცრავად, დიდმა მგოსანმა, პირიქით, ადგილობრივი სივრცის იდეალურად ცოდნის უნარი გამოავლინა და თვითონ მოგვევლინა გზამკვლევად. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ მის მიერ ექსპრომტად დაწერილ ლექსს, დაკავშირებულს ალავერდის სანახებში ჩაკირულ, ისტორიის ამ უნიკალურ ძეგლზე -

„თითქოს შენივთდა დროის ნისლი და ქარბორია,
ცისა და მიწის სილაჟვარდე და ხავერდობა,
გარდასულ დღეებს შევუთვალეთ ჩვენი შენდობა
და კვლავ მივყვებით სადღეისო ფიქრს და ფორიაქს.
თვლემს სახედარი, მზეზე ფიქრობს, მზე კი შორია,
ჰყვება მეგზური ათას ამბავს, თუმც ვინ ენდობა?!
და ღვინის თასში მოთუხთუხე ალავერდობა
ერთ ქვაბში ხარშავს ტყუილ-მართალ მის ისტორიას.
ხალხი თავს იქცევს მონათხრობით თუ მოჭორილით,
და დროის ძახილს მიეცემა ამ ჩოჩორივით,
ეს კი ვერც ამჩნევს სავალალო
ფერისცვალებით შეთითხნილ აწმყოს,
ლიტონ აწმყოს, აწმყოს მკვეხარას
და ოცნებებში ჩაბინდული ლურჯი თვალებით
შემრიგებლურად შემოჰყურებს ცას და ქვეყანას".

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონ ვახტანგ გადელიამ, საინტერესოდ წარმოგვიდგინა ებრაელი ხალხის სიყვარული საქართველოს, ქართული ენისა და მისი კულტურისადმი, მან გაიხსენა, რომ მისი ისრაელში ვიზიტი-

სას, 30 წლის წინ საქართველოდან წასული ებრაელები, თუ როგორი სუფთა ქართული მეტყველებით შეეგებნენ მას, რა სითბო და მონატრება გამოხატეს მის მიმართ, რომ ქართველი ებრაელები და მათი შთამომავლები დღესაც ფლობენ და ეფერებიან ქართულ ენას, ხელოვნებას (ცეკვას, სიმღერას და ა.შ.).

მუნიციპალიტეტის მერმა დააანონსა საინტერესო ინიციატივა - სენაკის მუნიციპალიტეტის ისრაელის ერთ-ერთი ქალაქთან დამეგობრების თაობაზე...

ღონისძიების მიწურულს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვახტანგ გადელიას, ებრაელთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ბატონმა მერაბ ჩანჩალაშვილმა ქართულ-ებრაული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, დიპლომი გადასცა.

ბევრ ასეთ საღამოს ვუსურვებ სენაკის მუნიციპალიტეტს, მადლობას მოვახსენებ მის ხელმძღვანელობას საინტერესოდ ჩატარებული ღონისძიებისთვის...

ბოლოს, ორიგინალური და მომაბეზრებელი არ ვიქნები მკითხველი აუდიტორიის წინაშე, უბრალოდ, თავს მივცემ ნებას, ორიოდ სიტყვით გადმოგცეთ ჩემი დასკვნითი ემოცია: პირველ რიგში, კიდევ ერთხელ ვიდრეკ ქედს ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნის წინაშე, რომელმაც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით, მნიშვნელოვანი აგური დადო ისეთ საკაცობრიო ფასეულობათა მშენებლობაში, როგორიცაა: სიყვარული, მშვიდობა, ერთგულება, ერთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობა და ა.შ. დიახ, ის თავის საქმიანობით - მთარგმნელობით, ლიტერატურულ, პოეზიის, თეატრალურ თუ სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში ემსახურებოდა საყოველთაო დიალექტიკას.

გიორგი გარუჩავა

ჩემი ყველა ნახატი ჩემი სულის ნაწილია

30 მარტიდან 12 აპრილამდე სენაკის სამხატვრო გალერეა მასპინძლობდა თვითნასწავლი მხატვრის ნუკრი შამათავას პერსონალურ გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელოვანის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ფერწერული ნამუშევრები, რომელთა დიდი ნაწილი საოცარი სიზუსტით ასახავს მშობლიური ქალაქის პეიზაჟებსა და სივრცეებს.

ნუკრი შამათავას დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1992 -96 წლებში მუშაობდა სოციალური სამსახურის უფროსად, 1996-2003 წლებში მექანიკური ქარხნის დირექტორია, 2003-2010 წლებში ფოთის წისქვილ-კომბინატის გენერალური დირექტორის მოადგილე. 2014 წლიდან შპს ,,ოსოს" დირექტორია, 2017 წლიდან კი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

ჩვენ შევხვდით ბატონ ნუკრის, ვისაუბრეთ მის შემოქმედებაზე, სამომავლო გეგმებზე.

გთავაზობთ საუბრის მოკლე შინაარსს

ხატვა ადრეული ასაკიდან დავიწყე, ალბათ იმდროიდან, როცა ფანქრების ხელში დაჭერა შევძელი. შემეძლო მთელი დღეები დავმჯდარიყავი და მეხატა. ჩემს ბავშვურ ნახატებში გადმოვცემდი საკუთარ ფიქრებსა და შინაგან სამყაროს. სამხატვრო განათლება არსად არ მიმიღია, რადგან მშობლები თვლიდნენ, რომ უფრო სერიოზული განათლება უნდა მიმეღო. მეც დავყევი მათ ნებას. შემდეგ იყო დიდი პაუზა. ხატვა დავიწყე კორონის დროს, როცა შეზღუდვები იყო, ფაქტიურად სახლიდან ვერ გავდიოდი. თავიდან პატარა ზომის ტილოთი დავიწყე. როცა მეგობრებმა, ახლობლებმა ნახეს ჩემი ნამუშევრები და ძალიან მოეწონათ, გადავწყვიტე უფრო სერიოზულობით მოვკიდებოდი საქმეს და დიდი ფორმატის ტილოები შემექმნა. ასე გაჩნდა ჩემს ნამუშევრებში თეატრი, ციხე-გოჯი არქეოპოლისი", ორმოცმოწამეთა, კოლხური ოდა... ჩემთვის მუშაობის პროცესი არის ძალიან საინტერესო. შემიძლია საათობით ვიჯდე და ვხატო. ვხატავ ზეთის საღებავებით, ჩანახატებს ფანქრით, გამიკეთებია სხვადასხვა მხატვრების ასლები, რომ გამომეცადა ჩემი შესაძლებლობები სხვადასხვა მიმდინარეობაში. ვთვლი, რომ მე უფრო რეალისტი მხატვარი ვარ.

რაც შეეხება ჩემს პერსონალურ გამოფენას, არასდროს მიფიქრია გამომეფინა ჩემი ნამუშევრები, ერთგვარად გამიჭირდა კიდეც ამ ნაბიჯის გადადგმა. იმის ფონზე, ჩვენთან იმდენი პროფესიონალი, კარგი მხატვრები არიან და არ ჰქონიათ გამოფენა, მე კი თვითნასწავლი მხატვარი. უხერხულად ვგრძნობდი თავს. მხოლოდ მეგობრების (რომელთა უმრავლესობამ არც კი იცოდა რომ ვხატავდი) დაჟინებული თხოვნის შემდეგ გადავწყვიტე შემეგროვებინა ჩემი ნამუშევრები და მომეწყო გამოფენა. აქვე მინდა ყველას ვუთხრა მადლობა, ვინც კი დრო გამონახა და მოვიდა ჩემი ნახატები დაათვალიერა

არასოდეს მიფიქრია დამეხატა გასაყიდად, რადგან მხატვრობას არ ვუყურებ, როგორც ბიზნესს. ყველა ჩემი ნამუშევარი მიყვარს და არ მემეტება. რადგანაც თითოეული მათგანი არის ჩემი შინაგანი გამოძახილი – ემოციები, ენერგიები, ყოველდღიური და ცხოვრებისეული განცდები.

ჩემი ყველა ნახატი არის ჩემი სულის ნაწილი.

ძირითადად მიყვარს ქართველი მხატვრები: ფიროსმანი, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, მირჩიეს ხატწერა შემესწავლა, ჯერ გადაწყვეტილი არა მაქვს, ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ამჟამად ვმუშაობ ორ ტილოზე, მაქვს მოწვევა ქუთაისის სამხატვრო სალონიდან და თბილისის საგამოფენო დარბაზიდან.

ვულოცავთ ბატონ ნუკრის პირველ პერსონალურ გამოფენას და ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.

ესაუბრა მ. შონია

ბორის დავითაიას მორიგი წიგნი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის სამეფო დინასტიის წარმომადგენლის - აშილ მიურატისა და ქართველ არისტოკრატთა -სამეგრელოს მთავრის, დავით და ეკატერინე დადიანების ქალიშვილის ,სალომეს ქორწინებამ პარიზში გახდა დიდი ზეიმი. შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ახლად დაოჯახებულები ჩამოვიდნენ სამეგრელოში და საფუძველი ჩაუყარა ქართველ მურატთა ოჯახს.

მიურატებს არ დასჭირვებიათ ნიღბები, ფერისცვალება და ფარისევლური თამაშები, ფრანგი პრინცი ჩვეული გულითადობით მიიღო ქართველმა საზოგადოებამ.

მრავალმხრივი იყო მიურატთა საქმიანობა და მთრთოლვარე ხმა. როგორც ორი ერის უკვდავი ლოცვის განუწყვეტელი ექო.

პრინცესა ანტუანეტა კატერინა, იგივე ბებე, აშილისა და სალომეს უმცროსი ქალიშვილია, რომელიც სამეგრელოში დაიბადა და საქართველოს მოქალაქე გახდა. კნეინა ბებეს ლაღი ბავშვობის წლები მიკროსამყაროა. ის თავად ყვება და აღწერს თუ რარიგად გრძნობს მშობლიურ ცისა და მიწის მიზიდულობას. კოლხეთის სურნელოვან ვრცელ, მობიბინე ველებისა და მუდამ გადათოვლილ კავკასიონის მწვერვალების სიამაყეს. პრინცესას მონაყოლი გახლავთ ლეგენდებითა და მითებით გამთბარი რეალობა. მეოცნებე ქალის ნატიფი ფიქრებით გადმოცემული ინტიმური სამყარო. მისი სულის ფარული ლტოლვა, მისი ვნებების, მისი სევდისა და დამსხვრეული ოცნებების კალეიდოსკოპი.

ხელებდაკაპიწებული ბებე გვერდით ედგა მამას, ახლადმოშენებული ოჯალეშის ზვრებში. მოწეულ პროდუქცია გაჰქონდათ საზღვარგარეთ.

გადის წლები, კატერინა უკმაყოფილოა პირადი ბედნიერების არ ქონით, მაგრამ საქართველოს თითოეული გოჯი მიწა მისთვის საფიცარია. განძია, შეუდარებელია. აცხადებს, რომ უფალმა დაანათლა სისხლით ფრანგს და დაბადებით ქართველს, იყოს ორი მებრძოლი და გაუტეხელი სულის ხალხის შთამომავალი. იგივეს განიცდიან ბებეს ძმები, ნაპო და ლუსიენი. ისინი მიდიან პირადი ბედნიერების საძებნელად, მაგრამ ყოველ ჯერზე ბრუნდებიან საქართველოში, დედულეთში.

მწერალ ბორის დავითაიას მშვენიერი ნაშრომი „ბებე" ისტორიული ტრილოგიის მესამე წიგნია. მას წინ უძღვის ეგრისის სამეფოს ბრძოლების ეპოპეა „მზე ქარიშხალში" გამც. 2018 წ. ასევე, მოცულობით დიდი რომანი, სამეგრელოს არაორდინალური მთავრის, ლევან - 2 დადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ორტომეული „უგვირგვინო მეფე" გამ-2021 და 2022წ.

ვფიქრობ, რომ მწერალი ბევრ რამეზე ფიქრობს, ბევრ რამეს ხედავს და აფასებს. გასული ყოფის ისეთ სინამდვილეს აქცევს ყურადღებას, რომელიც ჩვენი განვლილი ცხოვრების რეალობა და სინამდვილეა.

იგორ კეკელია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ჩვენი დევიზი - ერთად ყველაფერს შევძლებთ!

23-24 მარტს რუსეთში, კერძოდ სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა 2024 წლის ტურნირი ICTF ღია ტაეკვონდოს მსოფლიო თასი, "ჩრდილოეთ პალმირას თასი", რომელშიც 8 ქვეყნის თითქმის 600 სპორტსმენი მონაწილეობდა. ჩვენი ქვეყანა წარმოდგენილი იყო 6 სპორტსმენით: ლუკა სიჭინავა, იოანე გოგოლიშვილი, ნიკოლოზ წურწუმია, ოთო დემურია. გიორგი ხოფერია და ცოტნე მიშველაძე.

სახელოვნად იასპარეზეს ჩვენმა პატარა სპორტსმენებმა მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლუკა სიჭინავამ და იოანე გოგოლაშვილმა, რომლებმაც ტოლი არავის დაუდეს და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. ვულოცავთ ჩვენს გმირებს წარმატებას და არა მარტო მათ, არამედ სენაკს, სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით მწვრთნელს, ბატონ ლაშა ჯოლოგუას, რადგანაც ეს ბიჭები ასეთი კარგები რომ არიან, სწორედ მისი დამსახურებაა.

ლაშა ჯოლოგუა გახლავთ საქართველოს ICTF ფედერაციის პრეზიდენტი, შავი ქამრის მფლობელი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სხვადასხვა სართაშორისო ტურნირების გამარჯვებული... 2021 წლიდან სენაკში ეწევა სპორტულ საქმიანობას.

ბატონ ლაშას მივულოცეთ მისი შეგირდების ესოდენ დიდი გამარჯვება და ვთხოვეთ ესაუბრა ტურნირზე, თავის მოსწავლეებზე, მათ მიღწევებზე, სამომავლო გეგმებზე.

პირველ რიგში მადლობა ყურადღებისათვის. ტაეკვონდო ეს არის აღმოსავლური, კერძოდ კორეული ორთაბრძოლა, რომელიც ძალიან პოპულარული და პერსპექტიული სპორტის სახეობაა. მისი მიზანია ახალგაზრდების ჩაბმა სპორტში მათი ფიზიკური და სულიერი გაკაჟების მიზნით, მოზარდთა შორის თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების, სპორტული უნარ ჩვევებისა და მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის.

რაც შეეხება ტურნირს, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა მონაწილე ქვეყანა იყო ძალიან ძლიერი და გამოცდილი სპორტსმენებით დაკომპლექტებული, კმაყოფილი ვარ ჩემი მოსწავლეების მიღწევებით. პატარებმა თავი არ დაზოგეს და მართლაც რომ სახელოვნად იასპარეზეს. ლუკა და იოანემ ძლიერი მეტოქეები დაამარცხეს და ჩემპიონის ტიტულიც დამსახურებულად მოიპოვეს. ცოტა დააკლდათ გამარჯვებისთვის ნიკოლოზს და ოთოს, მაგრამ მათ გამოცდილება შეიძინეს. ოთხივე მათგანს ბევრი წარმატებები აქვთ მოპოვებული: ნიკოლოზი 8 წლისაა და არაერთი შეჯიბრი აქვს მოგებული, იოანე საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელია და მჯერა, რომ ისინი კიდევ ბევრჯერ გვასახელებენ.

მიხარია, რომ ჩვენი წარმატება უყურადღებოდ არ დარჩათ და მშობლიურ სკოლაში(დირექტორი მ.ნანეიშვილი) გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს პატარა ჩემპიონებს. ეს ერთგვარი სტიმული იყო მათთვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გადავუხადო მადლობა იმ ადამიანებს, რომლებმაც დასამახსოვრებელი შეხვედრა მოგვიწყვეს მსოფლიო თასის ჩემპიონატიდან დაბრუნებულებს. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო სკოლა ლიცეუმის დირექტორს, ქალბატონ ნანა ნორაკიძეს თანადგომისათვის, რომელმაც თავისი სკოლში გამოგვიყო პატარა დარბაზი სავარჯიშოდ.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ჩემი მოსწავლე, მათი წარმატებები. ჩვენ დაუღალავი შრომის შედეგად კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწევთ. ჩვენი დევიზია-ერთად ყოფნით ყველაფერს შევძლებთ

კიდევ ერთხელ ვულოცავთ გამარჯვებას ბატონ ლაშას თავისი მოსწავლეების წარმატებას. ვუსურვებთ კიდევ მრავალი მსოფლიო ჩემპიონი აღეზარდოს და ესახელებინოს ჩვენი პატარა სენაკი და საქართველო

მ. ჭუბაბრია

„გამარჯვების გზებზე ვდგებით“

26 მარტს საქართველოსა და საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებებს შორის გაიმართა საფეხბურთო მატჩი, რომელიც „ბორის პაიჭაძის სახელობის" სტადიონზე ჩატარდა. შეხვედრა დრამატული სცენარით წარიმართა და დაგვირგვინდა პენალტების სერიით - 4-2 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ. აღნიშნული გამარჯვებით საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები, დამოუკიდებელი საქართველოს ოცდაათწლიან ისტორიაში, პირველად გავიდა ,,ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე", რაც უდიდესი მუხტის, ემოციის მატარებელი გამოდგა სრულიად საქართველოსთვის. იმ საღამოს გამარჯვების სიხარულით დამუხტული დიდი და პატარა, ერი და ბერი ზეიმობდა. ეს იყო საერთო სახალხო ზეიმი, რომლის ამსახველ ფოტოკოლაჟსა და ემოციებით დამუხტულ სიტყვებს გთავაზობთ დღეს:

ირაკლი კობახიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი - ,,დღეს არის უბედნიერესი დღე და ეს არის ის ბედნიერება, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს! მე პირადად, როგორც ერთი გულშემატკივარი, 30 წელი ველოდებოდი ამ დღეს 1994 წლიდან და ბიჭებმა უდიდესი ბედნიერება მოგვანიჭეს. ეს ბიჭები არიან გმირები და გმირებს სჭირდებათ დაფასება. ესენი არიან ყველაზე ღირსეული ხალხი და ამიტომ, შალვა პაპუაშვილთან ერთად, პატარა გადაწყვეტილება მივიღეთ - ჩვენი ბიჭები წარდგენილნი იქნებიან ღირსების ორდენზე, თითოეული მათგანი!"

კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი - 2024 წლის 26 მარტი ოქროს ასოებით ჩაიწერება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

ლამაზი დღე

მოგეხსენებათ 21 მარტი არის დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ სოფლის საჯარო სკოლის სპეც მასწავლებლის ქალბატონ ნაზი წულეისკირის ორგანიზებით მოსწავლეები და მასწავლებლები ესტუმრნენ ბენეფიციართა დღის ცენტრს ,,სიკეთეს", ხელმძღვანელი ვალენტინ მახათაძე.

მასპინძელმა ქალბატონმა ლელა ოდიშარიამ დიდი სიყვარულით და პატივისცემით მიიღო სტუმრები. მოსწავლეებმა სხვადასხვა მუსიკალური ნომრით გაახალისა ბენეფიციარები, რომლებმაც ასევე წაიკითხეს ლექსები და მუსიკალურ ნოტზე დასრულეს საღამო. ქალბატონმა ლელა ოდიშარიამ მადლობა გადაგვიხადა სტუმრობისთვის და გვისურვა მომავალში ლამაზი დღეები.

დ. გოგიჩაიშვილი

უსაზღვრო მადლიერება

ჯანმრთელობის პრობლემების გამო, რამდენიმე დღე დავყავი თბილისში, შპს ,,ღია გული" - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში, სადაც მედიცინის მუშაკთა მაღალპროფესიონალიზმით გამორჩეული გუნდისაგან მაღალი სტანდარტების მკურნალობა მივიღე.

ჩემი მკურნალი ექიმი გახლდათ სენაკის მკვიდრი, მზია და ავთანდილ ჩარგაზიების ქალიშვილი, ქალბატონი **ნანა ჩარგაზია-ჟვანია,** ფაქტობრივად ოჯახის წევრი, რომელთანაც მეზობლობის გარდა, მირონობა მაკავშირებს.

ყურადღებისათვის მადლობა მედიცინის დოქტორს, ნევროლოგიური სამსახურის ხელმძღვანელს, ქალბატონ ეთერ ხითარიშვილს, ექიმებს: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მკვიდრს - ეკა თოდუასა და სენაკელს, გულის ექოსკოპისტს - ნანა გვაძაბიას, ექთნებს: ნინო გოქაძესა და ლედი ბადალაშვილს.

თითოეული მათგანის მიმართ, კიდევ ერთხელ მინდა უსაზღვრო მადლიერება და მოწიწება გამოვხატო, დიდი ადამიანური გულისხმიერებისა და საუკეთესო მკურნალობისათვის.

პატივისცემით მარინე აბრამია

დაბადებიდან - 130

ქართული მხარეთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი

სერგი მაკალათიას (1893-1974 წწ.) გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული მეცნიერების ისტორიაში, არა მხოლოდ როგორც ქართული მხარეთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, არამედ როგორც უშიშარ პიროვნებასაც. იგი ქედს არ უხრიდა მაშინდელ სისტემას და თვით უშიშროებასაც, რომელიც უხეშად ერეოდა მის საქმიანობაში. 1942 წელს დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ არც ამას შეგუებია. განთავისუფლებული კვლავაც თავისი მრწამსით აგრძელებდა ცხოვრებას და ქართულ საქმეს ემსახურებოდა, დაუფარავად გმობდა ყოველ ანტიქართულ ქმედებასა და გამოხტომებს, ღიად გააპროტესტა 1956 წლის სისხლიანი 9 მარტი. მისი გამბედაობა ექსპედიციების დროსაც იჩენდა თავს, განსაკუთრებით საქართველოს ოკუპაციის შემდეგ (1921 წ.), კინაღამ სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა, მაგრამ უკან არასდროს დაუხევია. მის წინააღმდეგ ინტრიგებსაც არ გაუბოროტებია, - სადა მცალია მაგათთვის, - იტყოდა თურმე, - იმდენი საქმე მაქვს გასაკეთებელიო.

სერგი მაკალათიას შეუპოვრობა სხვა მხრივაც იჩენდა თავს. თუკი მუზეუმიდან დაფინანსებას ვერ იღებდა, ექსკურსიამძღოლად ფორმდებოდა და ასეთ პირობებში აგროვებდა მასალებს. საამისოდ ფოტოხელოვნებასაც დაეუფლა. ხატვა ეხერხებოდა და ჩანახატებსაც აკეთებდა. მისი ფათერაკებით სავსე ცხოვრება საოცარი თავგადასავალიცაა, შესანიშნავი მასალა დოკუმენტური, თუნდაც მხატვრული ფილმის გადასაღებად.

სერგი მაკალათია რომ არა, საქართველოს სხვადასხვა მხარის ყოფა-ცხოვრება არათუ შესწავლილი, არამედ აღწერილიც არ იქნებოდა, სამუდამოდ გაქრებოდა ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე, რომელსაც, წმინდა სამეცნიერო ღირებულების გარდა, პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, რაც დღევანდელ მეურნეთათვისაც მნიშვნელოვანია.

მიუხედავად მრავალი ხელშემშლელი პირობისა, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, გამოდიოდა მისი მონოგრაფიები: ,,ხევი", ,,მთის რაჭა", „თუშეთი", ,,ხევსურეთი", ,,მესხეთ-ჯავახეთი", „ფშავი", ,,სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია", ,,ატენის ხეობა", „ბორჯომის ხეობა", ,,თეძმის ხეობა", „ლეხურის ხეობა", ,,ლიახვის ხეობა", „ფრონის ხეობა", „ძამის ხეობა", ,,ქსნის ხეობა" და სხვ. ხეობების მიზანმიმართული კვლევით სერგი მაკალათიამ ფაქტობრივად ვახუშტი ბაგრატიონის საქმე გააგრძელა. ეს შრომები დღესაც მეცნიერთა სამაგიდო წიგნებია, ხალხისთვის კი, თავის დროზე მოუთმენლად რომ ელოდა მათ გამოსვლას, ნამდვილი საუნჯე და სამშობლოსადმი პატრიოტული გრძნობების გამღვივებელი იყო.

ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული აღნიშნული წიგნების ხელმეორედ გამოცემა ცხოვრებისეული აუცილებლობაცაა და საჭიროა როგორც მკვლევართათვის, ისე სამშობლოს წარსულის მოყვარული ქართველებისთვის.

სამეგრელოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, სადაც სერგი მაკალათია დაიბადა და გაიზარდა, ეთნოკულტურულმა გარემომ, კლასიკურმა განათლებამ, აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის ღრმა ცოდნამ ხელი შეუწყო მის წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გავლილმა სკოლამ

(გაგრძელება მერვე გვერდზე)

დაბადებიდან - 130

ქართული მხარეთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი

(გაგრძელება)

სერგი მაკალათია საქართველოს ისტორიის იმ სიღრმეებსა და მასშტაბს ეზიარა, რაც დღეს ახალ ვითარებასა და პირობებში კიდევ უფრო აქტუალურია, როდესაც საქართველოს ისტორიის არაერთი მხარე თავიდან გადასახედი და გასააზრებელია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერგი მაკალათიას ის შრომები, რომლებიც ისეთ ურთულეს და დღესაც აქტუალურ პრობლემას ეხება, როგორიცაა აღმოსავლეთის დიდ ცივილიზაციებთან კულტურულ-გენეტიკური ნათესაობა. საამისოდ მეცნიერს მოხმობილი და გაანალიზებული აქვს უნიკალური ეთნოგრაფიული მასალები, რაც სათანადოდ გამოყენებული და გაანალიზებული არ არის ამ საკითხებზე მომუშავე მკვლევართა მხრიდან. ამ რიგის შრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სერგი მაკალათიას ადრეულ გამოკვლევას ღვთაება მითრას კულტის შესახებ. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი პირველმა დასვა და შეისწავლა. მანვე დაასაბუთა ამ კულტის არსებობა საქართველოში, კავკასიაში მისი გავრცელების მთავარ პლაცდარმად კი კაპადოკია მიიჩნია, რაც უაღრესად საყურადღებოა და მხედველობაში მისაღები. ქართულ მასალაზე დაყრდნობით უჩვენა მეგრული წარმართული მირსას ან მისარიონის კავშირი ირანულ-აღმოსავლურ მითრასთან (,,მიჰრასთან"), რომელიც სინათლის ღვთაებად მიიჩნეოდა. სათანადო ეთნოგრაფიული მასალების მოხმობით მან დაასაბუთა, რომ ქრისტიანობის პერიოდში, წმინდა გიორგიმ თანდათანობით შეცვალა მითრას რწმენა და კულტი და, რომ სამეგრელოს სინამდვილეში ,,ჯეგე-მისარონის" (წმ. გიორგი-მითრას) სახელწოდება შეინარჩუნა.

ეთნოგრაფიული მასალების სიღრმისეული კვლევის შედეგად მან გამოთქვა მოსაზრება ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ქართველური ტომების სარწმუნოებრივი ერთიანობის შესახებ, რაც ეხმიანება ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს დებულებას ქართველ ტომთა ერთიანი ეთნიკური საწყისის შესახებ. სერგი მაკალათიამ თქმულება ამირანზე და ,,შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიები შეადარა ავესტასა და მითრას შესახებ არსებულ მითებს და მათ შორის მსგავსება შენიშნა.

სერგი მაკალათია ასეთივე დიდი წარმატებით მუშაობდა არქეოლოგიასა და ნუმიზმატიკაში. მან ნახევარი საუკუნის მანძილზე ,,იმდენის გაკეთება შეძლო, რაც ერთი მოზრდილი, მრავალდარგოვანი ინსტიტუტისთვისაც კი ცოტა არ იქნებოდა" (იულონ გაგოშიძე). სერგი მაკალათიამ არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექციები მოაწესრიგა. მუზეუმების კოლექციები არაერთი საინტერესო უნიკალური მონეტით გაამდიდრა. ქართული ნუმიზმატიკის ერთ-ერთ საინტერესო ფურცლადაა მიჩნეული მის მიერ სამეცნირო ლიტერატურაში შემოტანილი კირმანეულის ტიპის უნიკალური მონეტა, რომელიც მან სამართლიანად ვამეყ დადიანს (XIV ს.) მიაკუთვნა. მანვე დაფანტვისგან იხსნა და მეცნიერება გაამდიდრა სეფიეთის ცნობილი ნუმიზმატიკური განძით და სხვ.

სერგი მაკალათია ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი არქეოლოგია. მის სახელთანაა დაკავშირებული რეკას, დვანის, ტყვიავის გათხრები და გვიანანტიკური სამარხების კვლევა. მას, როგორც არქეოლოგს, დიდად აფასებდა ბორის კუფტინი, მის მუშაობას ყოველთვის თვალს ადევნებდა და მის მიერ წარმართულ გათხრებსაც ესწრებოდა. ამ დარგში სერგი მაკალათიამ არაერთი საინტერესო გამოკვლევა დატოვა: ,,არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, სოფელ საკობიანოში და აღაიანში", ,,არქეოლოგიური აღმოჩენები მეჯუდის ხეობაში", ,,1920-1924 წლებში საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის", ,,გორის ნეკროპოლის დათარიღება", ,,ყორღანული ტიპის ბალთები დვანიდან" და სხვ.

განუზომელია სერგი მაკალათიას წვლილი სამუზეუმო საქმიანობაშიც. მან დიდი დახმარება გაუწია ყაზბეგის, მესტიის, ცაგერის, მარტვილის, კასპის მუზეუმებს ექსპონატებით გამდიდრებისა და გამოფენების მოწყობის საქმეში, ხშირად თავადაც ფიზიკურად მუშაობდა. განსაკუთრებულია მისი დამსახურება, როგორც დამაარსებლისა, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის წინაშე, რომელიც 2006 წლიდან მის სახელს ატარებს. მან წარუშლელი კვალი დატოვა გორის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რის თაობაზეც ხსოვნას დღემდე მოწიწებითა და სიყვარულით ინახავენ. ამ ქალაქის პედაგოგიურ ინსტიტუტში იგი ათწლეულების მანძილზე ლექციებს კითხულობდა, როგორც ერთადერთი და პირველი პროფესორი. ეთნოგრაფიის დარგშიც იგი საქართველოში პირველი დოქტორი იყო. მისი წვლილი დიდია გორის ინსტიტუტის ეგიდით ქართლში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ კვლევებსა და ამ ინსტიტუტის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენაში. აღნიშნული ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ თითქმის ყველა ღონისძიებას სერგი მაკალათია უძღვებოდა, მაშინ, როდესაც ამ სფეროს ყოველმხრივ ავიწროებდნენ. თუმცა მეცნიერი ამ შემთხვევაშიც ვერ გატეხეს. სტუდენტებში ცოდნასთან ერთად დიდ ეროვნულ მუხტსა და მოქალაქეობრივ მრწამსს აღვივებდა. როგორც წესი, ისტორიულ ძეგლებზე დაყავდა და ამ ძეგლებზე, როგორც ქვეყნის წინაშე ვალმოხდილებზე, დიდი გატაცებითა და სიყვარულით ყვებოდა. ადამიანის შეფასების მისი მთავარი კრიტერიუმი იყო ის, თუ ვის როგორ უყვარდა სამშობლო და როგორ ემსახურებოდა მას.

მაშინდელი სისტემის მსახურნი დრომ ისე გააქრო, როგორც ქრებიან მედროვენი. სერგი მაკალათიას ცხოვრება და მოღვაწეობა კი, რაც დრო გავა, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს და არაერთი თაობისთვის სამშობლოს ერთგულებისა და მისდამი თავდადების მისაბაძ მაგალითად დარჩება.

ქართველი მკითხველი მალე იხილავს წიგნს, სადაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის აღიარებული მკვლევრის, საქართველოში მხარეთმცოდნეობის ფუძემდებლის, პროფესორ სერგი მაკალათიას მიერ სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა და პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევებია თავმოყრილი. კრებული ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით ნახევარი საუკუნის მანძილზე გაწეულ მუშაობაზე.

წიგნის შედგენასა და გამოსაცემად მომზადებისას კარგად გვესმოდა არა მხოლოდ მისი სამეცნიერო მნიშვნელობა, არამედ ერთგვარ მორალურ ვალდებულებასაც ვგრძნობდით საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევრის ხსოვნის წინაშე.

ეს წიგნი ძვირფასი საჩუქარი იქნება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის, მხარეთმცოდნეობის, სამუზეუმო საქმის საკითხებით დაინტერესებული მეცნიერებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის, ასევე დიდად წაადგება უმაღლეს სასწავლებლებსა და საჯარო სკოლებს. მანამდე კი, მკვლევრის დაბადების 130-ე წლისთავზე, ასევე საუკეთესო საჩუქარია სერგი მაკალათიას ორი წიგნი: ,,თორი" და ,,ქართველი მეფეები", რომლებიც უკვე გამოიცა გამომცემლობა ,,არტანუჯის" მიერ.

მანანა გაბაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
იგორ კეკელია, ისტორიის დოქტორი

ხსოვნა

ლელა საბახტარაშვილი

14 აპრილს ერთი წელი შესრულდა შენი არყოფნიდან. საოცრად მტკივნეულია და გაუსაძლისი უშენობის განცდა. ახალგაზრდულ ასაკში შეძელი თავი დაგემკვიდრებინა საზოგადოებაში. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, ჯერ სენაკის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურში ემსახურებოდი არჩეულ პროფესიას. რომ არა ვერაგი დაავადება, კარიერულ წინსვლას შეძლებდი და მეუღლესთან, მამუკა ჯანჯღავასთან ერთად შვილებს ნიკოლოზს და საბას ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდიდი. თუმცა შენი ოჯახი ყველაფერს გააკეთებს, რომ ბავშვებს უდედობა არ ვაგრძნობინოთ, მივცეთ ის მატერიალური და სულიერი ღირებულებები, რისთვისაც შენ ისწრაფოდი. გამორჩეულად უჭირს დედას ნანის, გაუსაძლისია მისი სულიერი ტკივილი, მამამ, ტარიელმა ვერ გაუძლო დიდ ტკივილს და სულ მალე შენს გვერდით დაიდო ბინა. ერთად ხვდებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, გვჯერა, რომ ჩვენი ლოცვა და დანთებული სანთლები გზას გინათებთ მარადიულ სასუფეველში.

ჩვენო ლამაზო და კეთილო ლელა ჩვენთვის დაცარიელდა სამყარო უშენოდ, მხოლოდ სიზმარეული ხილვები შემოგვრჩა შენს დებს სოფოს და თეას, მეუღლეს, შვილებს, დისშვილებს ანუკის და ანრის, ახლობლებს, მეგობრებს.

შენ ძალიან ჭირდებოდი ოჯახს, საზოგადოებას. თან გაგყვა ბევრი ჩანაფიქრი და დაუსრულებელი საქმე. შენი სიცოცხლე ტკივილიან მოგონებებში, ახლობლების, მეგობრების ხსოვნაში გრძელდება. შენს დაბადების დღეზე უკლებლივ მეგობრებმა და სამსახურის თანამშრომლებმა ყვავილებით შეამკეს შენი მარადიული სამყოფი.

შენი სიცოცხლის გაგრძელება ნიკუშა და საბაა, რომელსაც ისეთ ადამიანებად გავზრდით, როგორზედაც შენ ოცნებობდი.

გვიყვარხარ, გეფერებით, ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენთვის და ვეცდებით წმინდა სანთლებით და ლოცვა-კურთხევით გაგინათოთ სასუფევლის გზა.

ნათელი შენს სხივიან სულს.

ოჯახი

ლალი არახამია, მაია გერგაია, ნიკა და ირაკლი შონიები თანაგრძნობას უცხადებენ ეკა ზარანდიას, ანა და ლაშა გუგუნავებს მეუღლის და მამის

ზაურ გუგუნავას

გარდაცვალების გამო

კროსვორდი



1.ქალღმერთი ძველ რომაულ მითოლოგიაში
2. სვანეთში გავრცელებული თავდაცვითი ნაგებობა
3. მანქანის, საწარმოს აწყობა ან დადგმა გარკვეული გეგმის, ნახაზის მიხედვით
4. ტანისამოსის ზემოდან მოსასხამი
5. ნ. დუმბაძის მოთხრობა
6. იტალო-ამერიკელი რეჟისორი
7. დეკორატიული ელემენტების ერთობლიობა
8. ტანმოვარჯიშე, სპორტსმენი ან ცირკის მსახიობი
9. განთიადი ანუ
10. თვალის ფერადი გარსი
11. აგდებული დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისადმი
12. ესპანეთის დედაქალაქი
13. გერმანული კომპანია რომელიც აწარმოებს ავტომობილებს
14. ქართველი კალათბურთელი
15. ომის ღმერთი
16. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო

შეადგინა მაია გერგაიამ

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათერია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33